OBSERVATION MISSION
სადამკვირვებლო მისია
2021

განცხადება

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) აკვირდება მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობას, რისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია ცესკოში ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად.

სადამკვირვებლო მისია მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის, მათ შორის საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადების პროცესის მონიტორინგს.

აღსანიშნავია, რომ **პანდემიის მიუხედავად ცესკოს სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა პროფესიული მომზადების პროცესის ეფექტიანად წარმართვა კოვიდრეგულაციების დაცვით**, რაც მისასალმებელია.

თუმცა, საყურადღებოა საუბნო საარჩევნო კომისიების **წევრთა ტრენინგებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი**, განსაკუთებით პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრებისა.

იმისათვის, რომ არჩევნები ჩატარდეს კომისიის წევრთა მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვით, მივმართავთ საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს, კერძოდ:

- **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს/ხელმძღვანელ პირებს** - მოახდინონ საარჩევნო კანონმდებლობით, ცესკოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებებზე ჩართულობა და დასწრება;
- **პოლიტიკურ პარტიებს** - უზრუნველყონ მათ მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებზე მაღალი გამოცხადება და ხელი შეუწყონ საუბნო საარჩევნო კომისიების მაღალი სტანდარტებით მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;
- **საარჩევნო ადმინისტრაციას**, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში:
  - უზრუნველყოს ტრენინგებზე კომისიის წევრთა მაღალი გამოცხადება;
  - გაამკაცროს ტრენინგებზე კომისიის წევრთა დასწრების კონტროლი;
  - შეისწავლოს სწავლებებზე დაუსწრებლობის მიზეზები და დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები;
  - კომისიის იმ წევრებს, რომლებიც პანდემიიდან ან სხვა საპატიო მიზეზებიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ სწავლების პროცესში ჩართვას, შესთავაზოს პროფესიული მომზადების ალტერნატიული მექანიზმები (მაგ: ონლაინ ტრენინგი და სხვა).

ამავდროულად ცნობილია, რომ კრწანისის საარჩევნო ოლქში 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები გაიმართება **ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით**. რაც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სიახლეს როგორც ამომრჩევლებისთვის, ასევე ჩართული მხარეებისთვის და მეორე მხრივ, გამოწვევას რომელიც საჭიროებს სათანადო ადმინისტრირებას, მომზადებასა და იმპლემენტაციას.

შესაბამისად მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, N4 კრწანისის საარჩევნო ოლქის 31 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა, განსაკუთრებული პროფესიული მომზადება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რათა მათ უზრუნველყონ ამომრჩეველთა მაღალი ხარისხით მომსახურება და მეორე მხრივ, ჩართული მხარეებისთვის ტრენინგების შეთავაზება, სანდოობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად.